საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №8/04
2015 წლის 22 იანვარი

ქ. თბილისი

გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავის და 42-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს გადახდის ოპერაციის შესრულების თანდართული წესი.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის №166 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე**

გადახდის ოპერაციის შესრულების წესი
თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

1. ეს წესი, „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავის დებულებებთან ერთად, განსაზღვრავს:

ა) ლარით და უცხოური ვალუტით საკრედიტო საგადახდო დავალებისა და საინკასო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციების შესრულების საკითხებს;

ბ) უცხოური ვალუტით დასაშვები გადახდის ოპერაციების ჩამონათვალს და მასთან დაკავშირებულ დებულებებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება ნაღდი ფულით შემოსავლის და გასავლის ოპერაციების, საგადახდო ბარათით განხორციელებული ოპერაციების (საბარათე ოპერაციების), ასევე ელექტრონული ფულით გადახდის ოპერაციების შესრულების საკითხებზე, გარდა ამ წესის თავი IV-ით განსაზღვრული უცხოური ვალუტით გადახდის ოპერაციების წარმოების საკითხებისა.

3. ამ წესით გათვალისწინებული ნორმების დაცვა პირს არ ათავისუფლებს საკანონმდებლო და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (მათ შორის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით) დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №83/04 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №143/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (პროვაიდერი) – იურიდიული პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) საგადახდო მომსახურების მომხმარებელი (მომხმარებელი) – პირი, რომელიც სარგებლობს საგადახდო მომსახურებით, როგორც გადამხდელი ან/და მიმღები;

გ) გადამხდელი – პირი, რომელიც გასცემს საგადახდო დავალებას ან/და ეთანხმება საგადახდო დავალების გაცემას, ხოლო ამ წესის III თავის მიზნებისათვის პირი, რომლის ანგარიშიდანაც ხდება საინკასო დავალების შესრულება;

დ) მიმღები – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია;

ე) პირი – განსაზღვრული „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებით დამკტიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) საკრედიტო გადახდის ოპერაცია (საკრედიტო გადარიცხვა) – გადამხდელის მიერ ინიციირებული ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია;

ზ) საკრედიტო საგადახდო დავალება – გადამხდელის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის გადაცემული დავალება საკრედიტო გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე;

თ) საგადახდო ანგარიში (ანგარიში) - პირის მიმდინარე, მოთხოვნამდე დეპოზიტის, საკორესპონდენტო, საკასო მომსახურების, ნომინალური მფლობელობის ანგარიში, რომლიდანაც კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის თანხმობით გადახდის ოპერაციის განხორციელება. საინკასო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულებისას საგადახდო ანგარიშად განიხილება მხოლოდ პირის მიმდინარე, მოთხოვნამდე დეპოზიტის, საკორესპონდენტო, საკასო მომსახურების ანგარიში, რომლიდანაც აღნიშნული ოპერაციის შესრულება ხორციელდება გადამხდელის თანხმობის გარეშე;

ი) ბანკის კოდი/სახელმწიფო ხაზინის კოდი - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის მონაწილის კოდი.

კ) საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (IBAN) - „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისი საბანკო ანგარიშის ნომერი;

ლ) სადებეტო საგადახდო დავალება - მიმღების მიერ გაცემული საგადახდო დავალება. ასევე, საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გაცემული დავალება გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს პირი მოქმედებს როგორც გადამხდელი;

მ) საინკასო დავალება – საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ კომერციული ბანკისადმი/მიკრობანკისადმი გაცემული სადებეტო საგადახდო დავალება, გადამხდელის ანგარიშიდან მისი (გადამხდელის) თანხმობის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვაზე;

ნ) სადებეტო გადახდის ოპერაცია (სადებეტო გადარიცხვა) - მიმღების მიერ ინიციირებული გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია. ასევე, საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი პირის მიერ ინიციირებული გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს პირი მოქმედებს როგორც გადამხდელი;

ო) საყოფაცხოვრებო მომსახურების გადასახადი - ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, დასუფთავების, სატელეკომუნიკაციო მომსახურებისათვის გადასახადი;

პ) ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი (სახაზინო კოდი) – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი;

ჟ) საიდენტიფიკაციო ნომერი - საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფიზიკური პირის პირადი ნომერი;

რ) საგადახდო დავალების შესრულება - პროვაიდერის მიერ გადამხდელის ანგარიშის დადებეტება დავალებაში მითითებული თანხის ოდენობით და/ან დავალებაში მითითებული თანხის ჩარიცხვა მიმღების ანგარიშზე (თუ მიმღების ანგარიში ამავე პროვაიდერთან არის) ან მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე (თუ მიმღები სხვა პროვაიდერის მომხმარებელია) ;

ს) საინკასო დავალების ნაწილობრივი შესრულება - პროვაიდერის მიერ გადამხდელის ანგარიშის დადებეტება საინკასო დავალებაში მითითებული თანხის მხოლოდ ნაწილის ოდენობით, გადამხდელის ანგარიშზე საინკასო დავალების შესასრულებლად საკმარისი ხელმისაწვდომი თანხის არარსებობის გამო.

ტ) სახელმწიფო ორგანო – საქართველოს ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა);

უ) ერთჯერადი გადახდის ოპერაცია – საკრედიტო გადახდის ოპერაცია, რომლის შესრულება პროვაიდერის მიერ ხდება გადამხდელი ფიზიკური პირის მიერ პროვაიდერისათვის გადაცემული ნაღდი თანხის ფარგლებში, აღნიშნული თანხის ამ ფიზიკური პირის ანგარიშზე ჩარიცხვის გარეშე. აღნიშნული ოპერაციისას პროვაიდერისთვის გადაცემული ნაღდი თანხის ოდენობა წარმოადგენს გადახდის ოპერაციის (ოპერაციების) თანხისა და საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამს;

ფ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი;

ქ) ტრანზაქციის უნიკალური კოდი - პროვაიდერის მიერ საგადახდო სისტემის ან შეტყობინებების გაცვლის სისტემის წესების საფუძველზე, ან/და მისი შიდა სისტემისთვის განსაზღვრული ასოების, ციფრების ან სიმბოლოების კომბინაცია, რომელიც ენიჭება აღნიშნული სისტემებით შესრულებული გადახდის ოპერაციებს და რომელიც უნიკალურია თითოეული ოპერაციისთვის.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული მნიშვნელობები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №83/04 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №143/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

თავი II
საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულების წესი

მუხლი 3. საკრედიტო საგადახდო დავალება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკი და მიკრობანკი (შემდგომში – „ბანკი“) უფლებამოსილია განახორციელოს პირის საკრედიტო გადახდის ოპერაცია შესაბამისი საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე პირის საგადახდო ანგარიშზე ხელმისაწვდომი მისი ფულადი სახსრების, ასევე სესხისა და/ან ოვერდრაფტის ფარგლებში, ან ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.
2. გადამხდელის ანგარიშზე საკრედიტო საგადახდო დავალებების შესასრულებლად საკმარისი ხელმისაწვდომი თანხების არარსებობისას, გადამხდელის ბანკი ვალდებულია პირველ რიგში

შეასრულოს ის საგადახდო დავალება, სადაც მიმღების ბანკის რეკვიზიტებში მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური (შემდგომში „სახელმწიფო ხაზინა“), ხოლო შემდეგ სხვა საკრედიტო საგადახდო დავალებები გადამხდელის მიერ განსაზღვრული რიგითობით.

3. გადამხდელის პროვაიდერი უფლებამოსილია გადამხდელის მიერ ერთჯერადად გაცემული მუდმივი დავალების საფუძველზე განახორციელოს რეგულარული საკრედიტო გადახდის ოპერაციები. გადამხდელი უფლებამოსილია მორიგი საკრედიტო გადახდის ოპერაციის შესრულებამდე (ოპერაციის თანხით მისი ანგარიშის დადებეტებამდე) გააუქმოს მუდმივი დავალება.

4. ბანკი, როგორც გადამხდელი, გადახდის ოპერაციას სხვა იურიდიულ პირთან ახორციელებს მხოლოდ უნაღდო გადახდის ფორმით - საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე.

5. თუ რეზიდენტი ფიზიკური პირის გადახდის ოპერაციის განხორციელება ხდება მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში გადამოწმების საფუძველზე, ბანკი ვალდებულია მოახდინოს კლიენტის იდენტობის დადგენა აღნიშნულ ბაზაში არსებული ფოტოსურათის შემცველი მონაცემების საფუძველზე.

6. საკრედიტო საგადახდო დავალების დისტანციური საშუალებით გაცემის/მიღების მიზნით სავალდებულოა, გადამხდელის ბანკსა და გადამხდელს შორის გაფორმებული იყოს ხელშეკრულება ელექტრონული, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით საკრედიტო საგადახდო დავალებების მიღების/გაცემის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გადამხდელსა და ბანკს შორის დისტანციური საშუალებებით ინფორმაციის გაცვლასთან, საკრედიტო საგადახდო დავალების გაცემასთან, მიღებასთან და უარყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დისტანციური საშუალებით კლიენტების მომსახურებისას, ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოება.

7. პროვაიდერის შიდა სააღრიცხვო სისტემაში მომხმარებლის ყველა გადახდის ოპერაციას უნდა გააჩნდეს უნიკალური კოდი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №143/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

მუხლი 4. დამატებითი დებულებები არამეწარმე ფიზიკური პირის საკრედიტო გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებით

1. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს არამეწარმე ფიზიკური პირის გადახდის ოპერაციები, საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე:

ა) ამ ფიზიკური პირის ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხის (მათ შორის სესხის და/ან ოვერდრაფტის) ფარგლებში;

ბ) ერთჯერადი გადახდის ოპერაციის სახით, თუ ოპერაციის თანხა არ აღემატება 1500 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში ან:

ბ.ა) ოპერაციის დანიშნულება არის საყოფაცხოვრებო გადასახადის, სამედიცინო მომსახურების გადასახადის ან სწავლების საფასურის გადახდა;

ბ.ბ) გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა სახელმწიფო ორგანო.

2. დაუშვებელია ერთჯერადი გადახდის ოპერაციის დავალების გაცემა/მიღება მომავალი შესრულების თარიღით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №83/04 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.

მუხლი 5. საკრედიტო გადახდის ოპერაცია სხვა პირის მაგივრად

1. ბანკში პირი უფლებამოსილია განახორციელოს:
ა) სხვა არამეწარმე ფიზიკური პირის მაგივრად, ნებისმიერი საკრედიტო გადახდის ოპერაცია;

ბ) სხვა მეწარმე პირის მაგივრად, მხოლოდ ისეთი საკრედიტო გადახდის ოპერაციები სადაც გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა სახელმწიფო ორგანო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში არამეწარმე ფიზიკური პირი უფლებამოსილია განახორციელოს მესამე პირის მაგივრად გადახდის ოპერაცია, როგორც საკუთარი საგადახდო ანგარიშიდან, ასევე ერთჯერადი გადახდის ოპერაციის სახით. აღნიშნულ შემთხვევაში, ერთჯერადი გადახდის ოპერაციებზე ვრცელდება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დებულებები.

3. თუ ლარით საკრედიტო გადახდის ოპერაცია სრულდება სხვა პირის მაგივრად, სადაც მიმღების ბანკის რეკვიზიტებში მითითებულია სახელმწიფო ხაზინა, სავალდებულოა მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ველების შევსება.

4. თუ ლარით საკრედიტო გადახდის ოპერაცია სრულდება სხვა პირის მაგივრად, გარდა სახელმწიფო ხაზინაში გადახდის ოპერაციისა, მიმღებსა და გადამხდელის ბანკს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, გადამხდელის ბანკი უფლებამოსილია მე6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ამ პირის შესახებ ინფორმაცია მიუთითოს საკრედიტო საგადახდო დავალების სპეციალურ ველებში. ამავე დროს უნდა არსებობდეს შეთანხმება მიმღებსა და მიმღების პროვაიდერს შორის, მიმღების პროვაიდერის მიერ ამ პუნქტში აღნიშნული სპეციალურ ველებში მითითეული ინფორმაციის მიმღებისთვის გადაცემაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №83/04 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.

მუხლი 6. საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტები
1. ეს მუხლი განსაზღვრავს საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტების ჩამონათვალს, როდესაც საკრედიტო გადახდის ოპერაციის მიმღები არ არის სახელმწიფო ხაზინა (საგადახდო დავალების მიმღების ბანკის ველში მითითებული არ არის სახელმწიფო ხაზინა).
2. ლარის საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტებია:

ა) გადამხდელის დასახელება:

ა.ა) პირის (გარდა ფიზიკური პირისა) დასახელება და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ა.ბ) ფიზიკური პირის სახელი და გვარი;

ბ) გადამხდელის ანგარიში:

ბ.ა) გადამხდელის ანგარიშის ნომერი ან

ბ.ბ) შიდასაბანკო ანგარიშის ნომერი (მხოლოდ ფიზიკური პირის ერთჯერადი გადახდის ოპერაციებისთვის);

გ) გადამხდელის ბანკის დასახელება;

დ) გადამხდელის ბანკის კოდი;

ე) მიმღების დასახელება;

ვ) მიმღების ანგარიშის ნომერი;

ზ) მიმღების ბანკის დასახელება;

თ) მიმღების ბანკის კოდი;

ი) გადახდის ოპერაციის დანიშნულება;

კ) გადახდის ოპერაციის თანხა ციფრებით;

ლ) გადახდის ოპერაციის ვალუტის დასახელება;

მ) გადახდის ოპერაციის შესრულების თარიღი (ივსება იმ შემთხვევაში თუ დავალების შესრულება მომავალი თარიღით ხდება);

ნ) გადამხდელის ბანკში საგადახდო დავალების წარდგენის თარიღი;

ო) საგადახდო დავალების მიღების თარიღი (ივსება ბანკის მიერ).

3. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საკრედიტო საგადახდო დავალებას ემატება შემდეგი ველები: ინფორმაცია პირის შესახებ, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა:

ა) პირის დასახელება;

ბ) პირის საიდენტიფიკაციო კოდი და/ან მიმღების მიერ ბანკთან შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული სხვა ნებისმიერი იდენტიფიკატორი;

4.(ამოღებულია - 05.11.2019, №213/04).

5. თუ გადამხდელი ფიზიკური პირი ახორციელებს ერთჯერადი გადახდის ოპერაციას, მაშინ ბანკი ვალდებულია თავად მიუთითოს გადამხდელის ანგარიშის ველში ანგარიშის (შიდასაბანკო ანგარიშის) ნომერი.

6. უცხოური ვალუტის გადახდის ოპერაციის შესრულებისას, შესაბამისი საკრედიტო საგადახდო დავალება შესაძლოა შეიცავდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებულ რეკვიზიტებს შესაბამისი საგადახდო ან შეტყობინების გაცვლის სისტემის წესების შესაბამისად.

7.(ამოღებულია - 05.11.2019, №213/04)

8.(ამოღებულია - 05.11.2019, №213/04)

9.(ამოღებულია - 05.11.2019, №213/04)

10. საკრედიტო საგადახდო დავალების შევსება ხდება ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია საგადახდო დავალების ინგლისურ ენაზე შევსება.

11. გადამხდელის მიერ მატერიალური ფორმით წარდგენილ საკრედიტო საგადახდო დავალებაზე თანხა მითითებულ უნდა იქნას როგორც ციფრებით, ასევე სიტყვებით (დასაშვებია თეთრების მხოლოდ ციფრებით მითითება). მათ შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, დავალება არ სრულდება.

12. საკრედიტო საგადახდო დავალებაში თარიღი მიეთითება შემდეგი ფორმატით დდ.თთ.წწწწ ან დდ.თთ.წწ. დასაშვებია თვის დასახელების მითითება სიტყვებით.

13. მატერიალური ფორმით წარდგენილ საკრედიტო საგადახდო დავალებას ხელს აწერს საკრედიტო დავალების გაცემაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირი (პირები).

14. ამ მუხლით განსაზღვრული რეკვიზიტების გარდა, ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს საკრედიტო საგადახდო დავალების სხვა დამატებითი რეკვიზიტები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №83/04 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 5 ნოემბრის ბრძანება №213/04 - ვებგვერდი, 06.11.2019წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №143/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

მუხლი 7. საკრედიტო გადახდის ოპერაცია სახელმწიფო ხაზინაში

1. თუ ლარით საკრედიტო გადახდის ოპერაციაში მიმღების ბანკის ველში მითითებულია სახელმწიფო ხაზინა, მაშინ საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტებია:

ა) გადამხდელის შესახებ:

ა.ა.) გადამხდელის დასახელება:

ა.ა.ა) პირის (გარდა ფიზიკური პირისა) დასახელება და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ა.ა.ბ) ფიზიკური პირის სახელი და გვარი; ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო კოდი ან/და არარეზიდენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და ქვეყნის დასახელება;

ა.ბ) გადამხდელის ანგარიშის ნომერი;

ა.გ) გადამხდელის ბანკის დასახელება;

ა.დ) გადამხდელის ბანკის კოდი;

ბ) პირის შესახებ, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა:

ბ.ა) პირის დასახელება;

ბ.ბ) საიდენტიფიკაციო კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) მიმღების შესახებ:

გ.ა) სახაზინო კოდი;

გ.ბ) გადასახადის ამკრეფის და თვითმმართველი ერთეულის დასახელება;

გ.გ) მიმღების ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა;

გ.დ) სახელმწიფო ხაზინის კოდი;

დ) გადახდის ოპერაციის დანიშნულება;

ე) გადახდის ოპერაციის თანხა ციფრებით;

ვ) გადახდის ოპერაციის ვალუტის დასახელება;

ზ) გადახდის ოპერაციის შესრულების თარიღი (ივსება იმ შემთხვევაში თუ დავალების შესრულება მომავალი თარიღით ხდება);

თ) საგადახდო დავალების წარდგენის თარიღი;

ი) საგადახდო დავალების მიღების თარიღი (ივსება ბანკის მიერ).

2. თუ გადამხდელი ახდენს სხვა პირის მაგივრად გადახდას, ასეთ შემთხვევაში გრაფაში „გადამხდელის დასახელება“ მიეთითება იმ პირის დასახელება, რომელიც ახდენს საკუთარი ფულადი სახსრების გადახდას, ხოლო „პირის დასახელებაში“ მიეთითება იმ პირის დასახელება, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა. ამავე დროს გრაფაში „საიდენტიფიკაციო კოდი“ მიეთითება იმ პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა.

3. სახაზინო სამსახურში უცხოური ვალუტით გადახდის ოპერაციის შემთხვევაში სახაზინო კოდი არ

მიეთითება.

4. სახაზინო სამსახურში გადახდის ოპერაციის შესაბამისი საკრედიტო საგადახდო დავალება უნდა შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მე-5-მე-13 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 8. ელექტრონული საგადახდო დავალება
ბანკის მიერ ელექტრონული ფორმით (ინტერნეტბანკით, მობილური ბანკით და სხვა ელექტრონული საშუალებით) საგადახდო დავალების მიღების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს გადამხდელის მიერ წარსადგენი საგადახდო დავალების სტრუქტურა და რეკვიზიტები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადახდო დავალების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევაში, კლიენტის მიერ დავალების შესრულების დასტურის მოთხოვნისას, ბანკის მიერ გაცემული დასტური ან კლიენტისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ჩანაწერი უნდა შეიცავდეს მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ რეკვიზიტებს, გარდა ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ბანკი პასუხისმგებელია, საგადახდო დავალების საგადახდო სისტემისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მის მიერ დამატებულ ინფორმაციაზე.

მუხლი 9. ელექტრონული ერთჯერადი საკრედიტო გადახდის ოპერაციის შესრულება
1. თუ საკრედიტო საგადახდო დავალების ინიციირება ხდება ელექტრონულად, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, როდესაც არ ხდება გადამხდელის იდენტიფიცირება გადამხდელისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის უშუალო კონტაქტის საფუძველზე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ შესრულებული ერთჯერადი გადახდის ოპერაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლარს (ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნება გადახდის ოპერაციის შესრულება. ამ შემთხვევაში გადახდის ოპერაციის დამადასტურებელი ქვითარი ან კლიენტისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ყველა იმ რეკვიზიტს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება გადახდის ოპერაციის სხვა გადახდის ოპერაციებისგან გამორჩევა.

მუხლი 10. საკრედიტო საგადახდო დავალების მიღება

1. ბანკი, საკრედიტო საგადახდო დავალების მიღებისას, ვალდებულია საგადახდო დავალებაზე აღნიშნოს მისი მიღების თარიღი.
2. თუ მატერიალური ფორმის საკრედიტო საგადახდო დავალების მიღება ხდება უშუალოდ ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ და გადამხდელი ითხოვს საგადახდო დავალების მიღების დასტურს, ბანკის უფლებამოსილი პირი ვალდებულია საკრედიტო საგადახდო დავალების მიღება დაუდასტუროს გადამხდელს მასზე ხელმოწერის შესრულებით.

მუხლი 11. საკრედიტო საგადახდო დავალების უარყოფა
1.თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უარს ამბობს საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულებაზე, იგი ვალდებულია ამ მუხლის შესაბამისად აცნობოს გადამხდელს ამის შესახებ.
2.ერთჯერადი გადახდის ოპერაციის შემთხვევაში, პროვაიდერი ვალდებულია:

ა) აცნობოს გადამხდელს დავალების შესრულებაზე უარის შესახებ დავალების წარგენისთანავე; ან

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია გადამხდელის მიერ დავალების შესრულების სტატუსის გადამოწმების ვალდებულების შესახებ;

3.გადამხდელის საგადახდო ანგარიშიდან საკრედიტო დავალების შესრულებაზე უარის შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გახადოს ეს ინფორმაცია გადამხდელისთვის ხელმისაწვდომი გადამხდელთან წინასწარ შეთანხმებული ფორმით შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მაგრამ არა უგვიანეს საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულების ვადისა.

მუხლი 12. საკრედიტო საგადახდო დავალების გაუქმების ან გამოთხოვის დაუშვებლობა
1. გადახდის ოპერაციის შესრულებაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია,

გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში მის მიერ მატერიალური ფორმით გაცემულ საკრედიტო საგადახდო დავალებაზე (გარდა შესრულების მომავალი თარიღით გაცემული დავალებისა), შეასრულოს შემდეგი შინაარსის აღნიშვნა: საგადახდო დავალება არ ექვემდებარება გადამხდელის მიერ გაუქმებას ან გამოთხოვას.
2. საკრედიტო საგადახდო დავალების გაუქმება ან გამოთხოვა დაუშვებელია „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად. ბანკს უფლება არ აქვს გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე გააუქმოს ან გამოითხოვოს საკრედიტო საგადახდო დავალება, თუ ამ დავალებაზე შესრულებულია აღნიშვნა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ფაქტი არ გამორიცხავს ამ საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულების უარყოფას ან შეჩერებას გადამხდელის პროვაიდერისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მუხლი 13. საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულების ვადა
1. საკრედიტო საგადახდო დავალება სრულდება „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლითა ან ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში.
2. თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს საკრედიტო საგადახდო დავალება შესასრულებლად საგადახდო დავალების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა.

3. დასაშვებია საკრედიტო დავალების შესრულება გადამხდელის პროვაიდერსა და მიმღებს შორის შეთანხმებულ ვადაში, თუ მიმღები აღიარებს გადამხდელის მიერ გადახდის შესრულებას გადამხდელის პროვაიდერის მიერ გადამხდელის საკრედიტო საგადახდო დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღეს.

4. გადამხდელის ბანკი ვალდებულია, 10000 (ათი ათასი) ლარი და მეტი ოდენობის თანხის გადახდის ოპერაცია შეასრულოს (დაადებეტოს გადამხდელის ანგარიში დავალებაში მითითებული თანხის ოდენობით და ჩარიცხოს მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე) აღნიშნული დავალების მიღების დღეს დაუყოვნებლივ, თუ გადამხდელსა და მის ბანკს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არაუგვიანეს „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვადისა.

5. გადამხდელის ბანკი ვალდებულია, შესასრულებლად მიღებული საკრედიტო საგადახდო დავალების თანხა ჩარიცხოს მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ამ საგადახდო დავალების შესასრულებლად მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა, გარდა ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №83/04 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.

მუხლი 14. მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა
1.მიმღების ბანკი ვალდებულია ქვეყნის შიგნით განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესაბამისი თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მხოლოდ მიმღების IBAN ფორმატის ანგარიშის მიხედვით.
1^1. თუ სახსრების ჩარიცხვა ხორციელდება საზღვარგარეთიდან, მიმღების ბანკი ვალდებულია ჩარიცხვა განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების“ შესაბამისად.

2.(ამოღებულია - 05.11.2019, №213/04).

3.(ამოღებულია - 05.11.2019, №213/04).

4.თუ მიმღების იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით განსაზღვრული რეკვიზიტის საფუძველზე, ბანკი უფლებამოსილია აღრიცხოს მიღებული თანხა „გაურკვეველი თანხების ანგარიშზე“. მიმღების ბანკი ვალდებულია მიიღოს ზომები თანხის მიმღების დასადგენად. თუ მიმღების დადგენა ვერ განხორციელდა 3 საბანკო დღის განმავლობაში, მაშინ

მიმღების ბანკი ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღეს თანხა დაუბრუნოს გადამხდელს საგადახდო დავალებაში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად (დაბრუნების მიზეზის მითითებით), გარდა საზღვარგარეთიდან განხორციელებული ჩარიცხვებისა. თუ თანხის ჩარიცხვა განხორციელდა საზღვარგარეთიდან, მიმღების ბანკი მოქმედებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

5.გადამხდელის ბანკიდან მიმღების შესახებ დაზუსტებული მონაცემების მიღების შემთხვევაში, მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა წარმოებს მიღებული საგადახდო საბუთის და დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, ამასთან, ამ ოპერაციის შესრულებისას, დანიშნულებაში ან დამატებითი ინფორმაციის ველში მიეთითება იმ დოკუმენტის ნომერი და თარიღი, რომლითაც მოხდა მონაცემების დაზუსტება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 5 ნოემბრის ბრძანება №213/04 - ვებგვერდი, 06.11.2019წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №387/04 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

თავი III
საინკასო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულების წესი

მუხლი 15. საინკასო დავალება

საინკასო დავალების გაცემის უფლება აქვს შემდეგ პირებს (შემდგომში „საინკასო დავალების გამცემი“):
ა) საქართველოს ეროვნულ ბანკს (შემდგომში „ეროვნული ბანკი“), „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირს – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – „აღსრულების ეროვნული ბიურო“), „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე;

გ) კერძო აღმასრულებელს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირს შემოსავლების სამსახურს (შემდგომში „შემოსავლების სამსახური“), საგადასახადო კოდექსის საფუძველზე.

მუხლი 16. საინკასო დავალების რეკვიზიტები

1. მატერიალური ფორმის საინკასო დავალების რეკვიზიტებია:
ა) გადამხდელის დასახელება:

ა.ა) პირის (გარდა ფიზიკური პირისა) დასახელება და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.ბ) ფიზიკური პირის სახელი და გვარი, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) გადამხდელის ბანკის დასახელება;

გ) გადამხდელის ბანკის კოდი;

დ) მიმღების დასახელება;

ე) მიმღების ანგარიშის ნომერი ან სახაზინო კოდი;

ვ) მიმღების ბანკის დასახელება ან სახელმწიფო ხაზინა;

ზ) მიმღების ბანკის კოდი;

თ) გადახდის ოპერაციის დანიშნულება;

ი) გადახდის ოპერაციის თანხა ციფრებით;

კ) გადახდის ოპერაციის ვალუტის დასახელება;

ლ) საინკასო დავალების გაცემის თარიღი;

მ) საინკასო დავალების მიღების თარიღი (ივსება ბანკის მიერ).

2. ელექტრონული ფორმით საინკასო დავალების გაცემისას, ბანკსა და საინკასო დავალების გამცემს შორის შეთანხმება ან/და პროტოკოლი უნდა ითვალისწინებდეს საინკასო დავალების მინიმუმ იმ რეკვიზიტებს, რომლის საფუძველზეც გადამხდელის ბანკის მიერ შესაძლებელი იქნება მისი შესრულება შესაბამისი საგადახდო სისტემის საშუალებით.

3. საინკასო დავალებაში გადამხდელის ანგარიშის მითითება, სავალდებულო არ არის. თუ საინკასო დავალებაში მითითებულია გადამხდელის ანგარიში, ბანკი არ არის ვალდებული შეამოწმოს მითითებული ანგარიშის სისწორე და გადამხდელის იდენტიფიცირებას ახორციელებს მხოლოდ საინკასო დავალებაში მითითებული გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. კერძო აღმასრულებელის მიერ გაცემულ საინკასო დავალებას სავალდებულო წესით უნდა ახლდეს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების დედანი ან სანოტარო წესით დამოწმებული მათი ასლები.

5. ბანკში წარდგენილი სააღსრულებო ფურცელი გაფორმებული უნდა იყოს ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 17. საინკასო დავალების მიღება

1. მე-15 მუხლით განსაზღვრული პირების მიერ საინკასო დავალება წარედგინება ბანკს:

ა) უშუალოდ შესაბამისი უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ; ან

ბ) საფოსტო გზავნილით; ან

გ) ელექტრონული სახით (ბანკსა და საინკასო დავალების გამცემს შორის კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბანკს არ აქვს უფლება შესასრულებლად მიიღოს საინკასო დავალება მისი წარმომდგენის ვინაობის დადგენის გარეშე. ბანკი ვალდებულია დაადგინოს დავალების წარმდგენი პირის (პირების) სამსახურებრივი უფლებამოსილება:

ა) კერძო აღმასრულებლის შემთხვევაში - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული კერძო აღმასრულებლების რეესტრიდან ამონაწერით ან/და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული კერძო აღმასრულებელთა რეესტრში გადამოწმებით;

ბ) სხვა შემთხვევაში - სამსახურებრივი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. სამსახურებრივი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს საინკასო დავალების გამცემი პირის მიერ.

3. ბანკი ვალდებულია საინკასო დავალება მიიღოს შესასრულებლად გადამხდელის საგადახდო ანგარიშზე (ანგარიშებზე) ნაშთის არარსებობის მიუხედავად.

4. საინკასო დავალების გამცემი პირის მიერ საინკასო დავალების წარდგენის ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნების არასრულყოფილად დაცვის შემთხვევაში, ბანკი საინკასო დავალებას დაუბრუნებს წარმომდგენს, ამ დავალების შესრულებაზე უარის მიზეზის მითითებით.

მუხლი 18. საინკასო დავალების შესრულება

1. საინკასო დავალების შესრულება შესაძლებელია ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი საგადახდო ანგარიშიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა საინკასო დავალებაში გადამხდელის ანგარიშის ნომერი.
2. საინკასო დავალების შესრულება შესაძლებელია როგორც გადამხდელის ერთი ანგარიშიდან, ასევე ნაწილ–ნაწილ გადამხდელის სხვადასხვა ანგარიშებიდან, ან გადამხდელის სხვა ანგარიშებიდან თანხების ერთ ანგარიშზე აკუმულირების გზით (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) საინკასო დავალებაში მითითებული თანხის ოდენობით.

3. საინკასო დავალების შესრულება არ შეიძლება ვადიანი დეპოზიტის ანგარიშიდან.

4. საინკასო დავალების შესრულება ხდება მხოლოდ გადამხდელის საკუთარი თანხის ფარგლებში (გადამხდელის საგადახდო ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული საკრედიტო ნაშთის ფარგლებში ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით). დაუშვებელია საინკასო დავალების შესრულება ოვერდრაფტის ან საკრედიტო ხაზის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადამხდელს გაცემული აქვს ბანკის მიმართ თანხმობა საინკასო დავალების აღნიშნული თანხებით შესრულებაზე. საინკასო დავალების შესრულებამდე ბანკი ვალდებულია შეუზღუდოს გადამხდელს ოვერდრაფტის ან საკრედიტო ხაზის გამოყენების უფლება.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე (ანგარიშებზე) არის სადებეტო ნაშთი (ოვერდრაფტი) და ამავე დროს წარდგენილია ამ გადამხდელზე საინკასო დავალება, საინკასო დავალება უნდა შესრულდეს მისი წარდგენის შემდეგ აღნიშნულ ანგარიშზე (ანგარიშებზე) განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხული თანხიდან.

6. საგადახდო ბარათით განხორციელებული ოპერაციის შესახებ ბანკის მიერ ინფორმაციის მიღების მომენტიდან აღნიშნული ოპერაციის თანხა არ წარმოადგენს გადამხდელის საკუთარ თანხას, მიუხედავად იმისა, რომ საგადახდო ბარათით განხორციელებული ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტება არ განხორციელებულა. საგადახდო ბარათით შესრულებული ოპერაციის გაუქმების შესახებ ბანკის მიერ ინფორმაციის მიღებისთანავე, გაუქმებული ოპერაციის თანხა წარმოადგენს გადამხდელის საკუთარ თანხას.

7. დასაშვებია საინკასო დავალების ნაწილობრივ შესრულება.

8. თუ საინკასო დავალების ვალუტის ანგარიშზე (ანგარიშებზე) არ არის თანხა ან არის არასაკმარისი თანხა დავალების შესასრულებლად, მაშინ გადამხდელის ბანკი ვალდებულია შეუსრულებელი თანხის ოდენობით განახორციელოს გადამხდელის სხვა ვალუტის ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული თანხის კონვერტაცია საინკასო დავალების ვალუტაში და შეასრულოს საინკასო დავალება. კონვერტაცია ხდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო საინკასო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული საკომისიო (გადარიცხვის საკომისიო, კონვერტაციის საკომისიო) განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

9. თუ გადამხდელს ანგარიშზე (ანგარიშებზე) (მათ შორის, საინკასო დავალების ვალუტისგან განსხვავებული ვალუტის ანგარიშებზე) არ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საინკასო დავალების შესასრულებლად, დავალება აღირიცხება „შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული საინკასო დავალებების რეესტრში“. რეესტრის წარმოება დასაშვებია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით.

10. რეესტრში აღრიცხული საინკასო დავალებების შესრულება ბანკის მიერ უნდა განხორციელდეს გადამხდელის ანგარიშზე (ანგარიშებზე) ფულადი სახსრების ჩარიცხვიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შესაბამისი ცვლილებების ასახვა უნდა განხორციელდეს რეესტრში.

11. საინკასო დავალების მიღების ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევით საინკასო დავალების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ბანკი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ბანკი არ არის პასუხისმგებელი საინკასო დავალების წარდგენის საფუძვლიანობასა და სამართლიანობაზე, ასევე მასში ასახული რეკვიზიტების სისწორეზე.

მუხლი 19. ცვლილება ბანკის მიერ მიღებულ და რეესტრში აღრიცხულ საინკასო დავალებაში
ბანკის მიერ მიღებულ და რეესტრში აღრიცხულ საინკასო დავალებაში თანხის კორექტირების აუცილებლობის შემთხვევაში, საინკასო დავალების გამცემი პირი ბანკს წარუდგენს ახალ საინკასო დავალებას. თუ:
ა) ახალი საინკასო დავალების გაცემა მოხდა მატერიალური ფორმით, მაშინ საინკასო დავალების „დამატებითი ინფორმაციის“ ან „დანიშნულების“ ველში აუცილებელია იმ საინკასო დავალების მითითება, რომელშიც ხორციელდება ცვლილება. მატერიალური ფორმით წარდგენილი ახალი საინკასო დავალების შესრულების რიგითობის მიზნისათვის, მისი მიღების თარიღად ითვლება იმ საინკასო დავალების მიღების თარიღი, რომელშიც განხორციელდა ცვლილება.
ბ) ახალი საინკასო დავალების გაცემა/მიღება მოხდა ელექტრონული ფორმით, აღნიშნული საინკასო დავალების შესრულების რიგითობა, საინკასო დავალების გამცემი იმავე პირის სხვა საინკასო დავალებების მიმართ, განისაზღვრება ბანკსა და საინკასო დავალების გამცემ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და პროტოკოლის საფუძველზე.

მუხლი 20. საინკასო დავალების შესრულების რიგითობა
1. საინკასო დავალებას აქვს შესრულების უპირატესობა შესასრულებელ სხვა საგადახდო დავალებასთან შედარებით, ამავე დროს დაცული უნდა იქნას ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საინკასო დავალებების შესრულების რიგითობა.
2. საინკასო დავალებები სრულდება შემდეგი რიგითობით, მიუხედავად იმისა როდის იყო ისინი წარდგენილი ბანკში:

ა) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საინკასო დავალებები, ბანკში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით;

ბ) შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული საინკასო დავალებები, მატერიალური ფორმით ბანკში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით ან ელექტრონული ფორმით წარდგენისას ბანკსა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და პროტოკოლის მიხედვით;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საინკასო დავალებები, ბანკში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით;

დ) აღსრულების ეროვნული ბიუროს და კერძო აღმასრულებლის მიერ წარმოდგენილი საინკასო დავალებები. იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინკასო დავალება წარმოდგენილია აღსრულების ეროვნული ბიუროს ან კერძო აღმასრულებლის მიერ საბანკო ანგარიშზე დადებული ყადაღით უზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსასრულებლად, მაშინ საინკასო დავალების შესრულება ხორციელდება ყადაღის რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში საინკასო დავალება სრულდება ბანკში წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 9 სექტემბრის გრძანება №83/04 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.

მუხლი 21. გადამხდელის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების განკარგვა მათზე ყადაღის დადების ან საინკასო დავალების წარდგენისას
1. უფლებამოსილი პირის მიერ გადამხდელის ანგარიშებზე თანხიანი ყადაღის წარდგენის შემთხვევაში, პირველ რიგში ყადაღდება ყადაღის ვალუტის ანგარიშზე არსებული თანხა. თუ აღნიშნულ ანგარიშზე არის ყადაღის თანხაზე ნაკლები ნაშთი (თანხა), ყადაღა უნდა გავრცელდეს სხვა ვალუტის ანგარიშებზე ყადაღის თანხისა და ყადაღის ვალუტის ანგარიშზე არსებული თანხის სხვაობის ექვივალენტის ოდენობით. ყადაღის ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტის ანგარიშზე ყადაღის გავრცელების შემთხვევაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი, თუ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო ყადაღის შესაბამისი ოდენობის თანხის დათვლის დროს ანგარიშებზე არსებული თანხები არ აღმოჩნდა საკმარისი წარდგენილი ყადაღის სრულად შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირის მიერ ყადაღა წარდგენილია მხოლოდ კონკრეტულ ერთ ან რამდენიმე ანგარიშზე, მაშინ ბანკი ვალდებულია ყადაღა გაავრცელოს მხოლოდ ამ კონკრეტულ ანგარიშებზე.
2. საგადახდო ანგარიშზე ყადაღის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ანგარიშიდან ოპერაცია (მათ შორის შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული საინკასო დავალების შესრულება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყადაღისაგან თავისუფალი თანხების ფარგლებში, გარდა ყადაღის დადებამდე საგადახდო ბარათით შესრულებული ოპერაციისა, რომლის ანგარიშზე ასახვა (ოპერაციის

თანხით ანგარიშის დადებეტება) შესაძლოა განხორციელდეს ყადაღის თანხის ფარგლებშიც ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

3. გადამხდელის ანგარიშზე (ანგარიშებზე) მხოლოდ შემოსავლების სამსახურის ყადაღის არსებობის შემთხვევაში, დაყადაღებული ანგარიშიდან უნდა განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული საინკასო დავალებების შესრულება და ასევე, კლიენტის მიერ წარდენილი საგადახდო დავალების საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდა, როგორც ყადაღისაგან თავისუფალი ფულადი სახსრების ფარგლებში, ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ დაყადაღებული თანხების ფარგლებშიც.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელის ანგარიშზე (ანგარიშებზე) არის სადებეტო ნაშთი (ოვერდრაფტი) და ამავე დროს ამ გადამხდელზე წარმოდგენილია ყადაღა, რომლის ჩანაცვლება მოხდა საინკასო დავალებით, აღნიშნული საინკასო დავალება უნდა შესრულდეს ყადაღის წარდგენის შემდეგ ჩარიცხული იმ თანხებითაც (ან თანხის იმ ნაწილითაც), რომლითაც მოხდა ოვერდრაფტის ნაწილობრივი ან სრული დაფარვა (სადებეტო ნაშთის შემცირება/განულება). ამ მუხლის მიზნებისათვის ანგარიშზე ჩარიცხვად არ ითვლება ოვერდრაფტის და საკრედიტო ბარათების ჩამოწერისა და გარესაბალანსო ანგარიშზე აღირცხვის მიზნით კლიენტის ანგარიშზე ბანკის მიერ განხორციელებული ბუღალტრული გატარება.

5. ბანკსა და შემოსავლების სამსახურს შორის ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის შესახებ ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის მიერ დადებული ყადაღა ავტომატურად გაავრცელოს ბანკში არსებულ გადამხდელის ყველა ანგარიშზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყადაღის მოცულობის ფარგლებში.

6. ბანკში საინკასო დავალების წარდგენისას, არ იზღუდება გადამხდელის უფლება, საინკასო დავალების სრულად შესრულებამდე (მათ შორის საინკასო დავალების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაშიც) განკარგოს საინკასო დავალების შესასრულებლად საკმარისი თანხის ზემოთ არსებული ფულადი სახსრები.

თავი IV
უცხოური ვალუტით გადახდის ოპერაციების წარმოება

მუხლი 22. შეზღუდვები უცხოური ვალუტით განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე

დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი გადახდის ოპერაციის განხორციელება, გარდა:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების საფასურის გადახდის ოპერაციებისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექპორტ-იმპორტთან;

ბ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ რეზიდენტის მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაციებისა.

მუხლი 23. დამატებითი დებულებები უცხოური ვალუტით განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე.

1. უცხოური ვალუტით განხორციელებასთან დაკავშირებული ამ წესის 22–ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება:

ა) უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტის, საწარმოს კაპიტალში შენატანის, საბანკო გარანტიის, სესხის და დეპოზიტის ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის, ასევე პროცენტული გამოხატულების მქონე პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის გადახდის ოპერაციებზე;

ბ) უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არარეზიდენტი პირისათვის თანხის გადარიცხვის შემთხვევებზე. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის პირის არარეზიდენტობის განსაზღვრისას ბანკი ეყრდნობა გადამხდელის მიერ წარდგენილ ინფორმაციას.

2. უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას გადარიცხვის დოკუმენტებში უნდა მიეთითოს ოპერაციის დანიშნულება.

3. ბანკი ვალდებულია გადამხდელი მეწარმე სუბიექტისაგან დამატებით მოითხოვოს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, თუ უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის თანხა:

ა) აღემატება 100 000 ლარის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, გადარიცხვა სრულდება მაღალი რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიერ ან/და ოპერაცია დაკავშირებულია მაღალი რისკის

იურისდიქციასთან ან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 4 დეკემბრის №162/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის“ დანართი №2-ით განსაზღვრულ ოფშორულ ზონასთან;

ბ) აღემატება 150 000 ლარის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში და გადარიცხვა სრულდება საშუალო რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიერ.

3^1. დაბალი რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიერ ფულადი სახსრების უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია თავად განსაზღვროს თანხობრივი ლიმიტები, რომელიც გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების გამოთხოვის წინაპირობას წარმოადგენს. ლიმიტები უნდა განისაზღვროს ოპერაციის დანიშნულებისა და ოპერაციის რისკის გათვალისწინებით.

3^2. ბანკი ვალდებულია შეინახოს ამ მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტების ასლები. ასლების შენახვა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით.

4. ამ წესის 22-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები, ასევე, ამ მუხლის მე-2-3^2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან სასარგებლოდ განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე.

5. ამ მუხლის მე-3-3^2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში ბანკის მიერ სხვა ბანკის დავალებით განხორციელებულ გადახდებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 7 აპრილის ბრძანება №42/04 - ვებგვერდი, 08.04.2016წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 ივნისის ბრძანება №62/04 - ვებგვერდი, 14.06.2022წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №143/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.